სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080152190758423

№ 561

20 / თებერვალი / 2023 წ.

განკარგულება ზოგიერთი ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის საჭიროების თაობაზე

2023 წლის 17 თებერვალს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზები, რის გამოც NAT230002402, NAT230002919, NAT230002563, NAT230001630, NAT230002902, NAT230002505, NAT230002483, NAT230001668, NAT230002533, NAT230002498, NAT230002653, NAT230002507, NAT230001634, NAT230002710, NAT230001672, NAT230001527, NAT230001638, NAT230001676, NAT230002908 და NAT230001695 ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადებების წარდგენა. ამავდროულად, ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერებს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“, შესაბამისად, საჯარო გახდა იმ მომენტში არსებული ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერებში სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

იმავე ხარვეზის გამო SPA230000386, SPA230000384, SPA230000387, SPA230000382, SPA230000366, SPA230000370 და SPA230000360 ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადების წარდგენა და ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“. შესაბამისად, საჯარო გახდა პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230002402), აბაშის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230002919), თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230002563), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ – საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (NAT230001630), საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (NAT230002902), წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230002505), ააიპ „ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ“ (NAT230002483), შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230001668), თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230002533), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (NAT230002498), ააიპ „ტყიბულის მუნიციპალიტეტის კომუნალურმა გაერთიანებამ“ (NAT230002653), თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230002507), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ – საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (NAT230001634), ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230002710), შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230001672), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობამ (NAT230001527), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ – საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (NAT230001638), შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230001676), დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230002908) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ – საავტომობილო გზების

დეპარტამენტმა (NAT230001695), ააიპ „მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებამ“ (SPA230000386), ააიპ „მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებამ“ (SPA230000384), სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ“ (SPA230000387), ააიპ „მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებამ“ (SPA230000382), ააიპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრმა“ (SPA230000366), სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ“ (SPA230000370) და სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა“ (SPA230000360) დადგენილი წესით, შეწყვიტონ ზემოაღნიშნული ელექტრონული ტენდერები.

2. წინამდებარე განკარგულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე www.procurement.gov.ge. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მომხმარებლებს სისტემური შეტყობინების მეშვეობით.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე